

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება
N 231 1996 წლის 23 სექტემბერი ქ.თბილისი**

**საქართველოში 1996 წლის 27 სექტემბერს "ხსოვნისა და
იმედის" დღის აღნიშვნისა და მოწყობის ღონისძიებათა შესახებ**

კონფლიქტი აფხაზეთში, სამი წლის წინ სოხუმის დაცემა მოუშუშებელ იარაღ იქცა ქართველებისა და აფხაზებისათვის, საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხებისათვის. საქართველოს თავისუფლებისა და დემოკრატიული განვითარების მტრებისაგან ინსპირირებულმა ომმა აურაცხელი ნგრევა და მსხვერპლი მოუტანა ჩვენს ქვეყანას. სრულიად საქართველოს, მის თითოეულ მოქალაქეს უნდა ახსოვდეს აფხაზეთის ტრაგედია, როგორც უგუნურების, ქვეყნისა და თანამომხმის ღალატის შედეგი. სოხუმის დაცემის დღე - 27 სექტემბერი ძმათა კვლის, უნდობლობისა და გაუტანლობის საპირისპიროდ უნდა იქცეს სიკეთის, დაღუპულთა ხსოვნის, ძმობის, მეგობრობის, თანადგომისა და იმედის დღედ, რადგან აფხაზეთის ტრაგედია აღელვებს და სტკივა სრულიად საქართველოს.

აქედან გამომდინარე:

1. ვიწონებ და ყოველმხრივ ვუჭერ მხარს საქართველოს საპატრიარქოს, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს, მოქალაქეთა კავშირის, თბილისის მერიის, აჭარის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პრეზიდენტის სამხარეო რწმუნებულების წინადადებებს 1996 წლის 27 სექტემბერს საქართველოში "ხსოვნისა და იმედის" დღის აღნიშვნის შესახებ თანდართული პროგრამის მიხედვით.

2. 1996 წლის 27 სექტემბერს თბილისში საფუძველი ჩაეყაროს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამოქალაქო ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალს.

3. ქ. თბილისის მერიამ, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოსთან ერთად უზრუნველყონ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, სახელმწიფო დაწესებულებებში, სასწავლებლებში, ლტოლვილთა განსახლების ადგილებში შეხვედრების და აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს ორივე მხრიდან დაღუპულთა ხსოვნის პატივმიცემისა და სხვა ღონისძიებების მოწყობა.

4. საქართველოს განათლების სამინისტრომ (თ. კვაჭანტირაძე) 27 სექტემბერს ქვეყნის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში პირველი გაკვეთილები, ლექციები მიუძღვნას თემას "გახსოვლეს აფხაზეთი".

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კ. თარგამაძე), ტრანსპორტის სამინისტრომ (მ. ადეიშვილი), ქ. თბილისის მერიამ (ბ. შოშიტაიშვილი),

მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა და შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ 27 სექტემბერს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ტრანსპორტის გამართული მუშაობა და სხვა ღონისძიებათა გატარება.

6. შეიქმნას სამთავრობო კომისია აფხაზეთის ტრაგედიის მსხვერპლთა დიდი წიგნისა და "აფხაზეთის თეთრი წიგნის" მოსამზადებლად და გამოსაცემად.

7. ცნობად ვიღებ, რომ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაცია (ა.გოგელია), საქინფორმი (ვ.აბაშიძე) და სხვა საინფორმაციო საშუალებები სათანადოდ გაამუქებენ აღნიშნულ ღონისძიებას.

ე. შევარდნაძე